საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №963
2014 წლის 5 დეკემბერი

ქ. თბილისი

სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების რეგისტრაციის, შენახვის, ტარების, გადატანის, გადაზიდვის ან გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 18.02.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 14^1 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 18.02.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

მუხლი 1

1. თანდართული რედაქციით დამტკიცდეს:

ა) სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების რეგისტრაციის წესი (დანართი №1);

$ა^1$) სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების შენახვის, ტარების, გადატანის, გადაზიდვის ან გადაგზავნის წესი (დანართი $№1^1$);

ბ) (ამოღებულია - 16.03.2022, №28);

გ) (ამოღებულია - 07.10.2024, №75);

დ) იარაღის დროებითი მოწმობა (ფორმა №5) (დანართი №4);

ე) (ამოღებულია - 16.03.2022, №28);

ვ) იარაღის დროებითი მოწმობა (ფორმა №6) (დანართი №6).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 18.02.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ალექსანდრე ჭიკაიძე**

დანართი N1

სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღის რეგისტრაციის წესი

მუხლი 1

ეს წესი განსაზღვრავს ფიზიკური პირის კუთვნილი „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღებისა და მათი ძირითადი ელემენტების, ამავე კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირის/ინდივიდუალური მეწარმის კუთვნილი, სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღებისა და მათი ძირითადი ელემენტების, დახურული ან/და ნახევრად დახურული ტირის ან/და სასროლეთის გახსნის ნებართვის მფლობელი

იურიდიული პირის/ინდივიდუალური მეწარმის კუთვნილი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ტექნიკური მახასიათებლების მქონე, სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების, აგრეთვე, მათი ძირითადი ელემენტების რეგისტრაციის, ხელახალი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების (მათ შორის, ჩამოწერის), პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემის, გაუქმებისა და პნევმატურ იარაღზე იარაღის დროებითი მოწმობის გაცემის წესსა და პირობებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

მუხლი 2

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **სააგენტო** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;

ბ) **პნევმატური იარაღი –** „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პნევმატური იარაღი, რომელიც ექვემდებარება სააგენტოში რეგისტრაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) **ნებართვის მფლობელი პირი** – დახურული ან/და ნახევრად დახურული ტირის ან/და სასროლეთის გახსნის ნებართვის მფლობელი იურიდიული პირი/ინდივიდუალური მეწარმე;

გ[1]) **ფედერაცია** – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სროლის სახეობის ეროვნული სპორტული ფედერაცია/ორგანიზაცია ან/და მისი წევრი იურიდიული პირი/ინდივიდუალური მეწარმე (რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გახსნილი აქვს დახურული ან/და ნახევრად დახურული ტირი ან/და სასროლეთი);

გ[2]) **სპორტული ორგანიზაცია** – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ეროვნული სპორტული ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაც სროლის სახეობაა;

დ) **ფიზიკური პირი** – მესაკუთრე იმ პნევმატური იარაღისა, რომლის ტარება, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დასაშვებია მხოლოდ მისი სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ (ეს ტერმინი არ მოიცავს ინდივიდუალურ მეწარმეს);

ე) **დაინტერესებული პირი** – ფიზიკური პირი, ნებართვის მფლობელი პირი, ფედერაცია ან სპორტული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს უფლება ან ვალდებულება ამ წესით გათვალისწინებული მომსახურების მიღების მოთხოვნით მიმართოს სააგენტოს;

ვ) **რეგისტრაცია** – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სააგენტოს მიერ ფიზიკურ პირზე, ნებართვის მფლობელ პირზე, ფედერაციაზე ან სპორტულ ორგანიზაციაზე პნევმატური იარაღის რეგისტრაცია (პირველადი რეგისტრაცია, ხელახალი რეგისტრაცია), ჩამოწერა, სარეგისტრაციო სისტემასა და დოკუმენტებში ინფორმაციის აღრიცხვა;

ზ) **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი** – ამ წესის მიზნებისათვის ეს ტერმინი მოიცავს:

ზ.ა) საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში:

ზ.ა.ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას (მათ შორის, პირადობის ელექტრონული მოწმობა), საქართველოს მოქალაქის პასპორტს;

ზ.ა.ბ) ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას – საქართველოს მოქალაქის პასპორტს ან საქართველოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ 2006 წლის 1 აპრილიდან გაცემულ მართვის მოწმობას;

ზ.ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – ბინადრობის მოწმობას ან პასპორტს;

თ) **პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა** – „იარაღის რეგისტრაციის მოწმობის, სანებართვო

მოწმობების ფორმების, აგრეთვე მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 22 დეკემბრის №1371 ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული შესაბამისი ფორმის (ფორმა №1 და ფორმა №2) დოკუმენტი;

ი) (ამოღებულია - 07.10.2024, №75);

2. სააგენტოს მიერ დაინტერესებულ პირზე პნევმატური იარაღის რეგისტრაცია დასტურდება სარეგისტრაციო ჩანაწერებითა და ამ ბრძანებით განსაზღვრული პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

მუხლი 3

1. დაინტერესებულ პირზე პნევმატური იარაღის რეგისტრაციას, ასევე რეგისტრაციის გაუქმებას ახორციელებს სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში.
2. კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისას სააგენტოს უფლება აქვს, მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით შექმნას, მიიღოს, შეინახოს ნებისმიერი დოკუმენტი (მათ შორის, საარქივო მასალა), შეიტანოს სარეგისტრაციო ჩანაწერებში ან სხვა მონაცემებში ცვლილებები ან შესწორებები, გასცეს (გამოსცეს) ნებისმიერი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები, ელექტრონული ხელმოწერა, ელექტრონული ან/და ტექნიკური საშუალებით ხელმოწერა. ელექტრონულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მატერიალურ დოკუმენტს. დოკუმენტზე ელექტრონული ხელმოწერა, აგრეთვე ელექტრონული ან/და ტექნიკური საშუალებით ხელმოწერა ითვლება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ.

3. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მომსახურების გაწევის თაობაზე მიმართოს სააგენტოს ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულს, მიუხედავად საქართველოში მისი საცხოვრებელი ადგილისა.

4. მომსახურების გაწევისათვის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (მათ შორის, პირადობის ელექტრონული მოწმობა) წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი საქართველოს მოქალაქის პასპორტით ან საქართველოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ 2006 წლის 1 აპრილიდან გაცემული მართვის მოწმობით შესაძლებელია მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დადგენა სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის ამსახველ მონაცემთა ბაზის მეშვეობით.

5. მომსახურების გაწევისათვის კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტების წარმოდგენა სავალდებულო არ არის, თუ სააგენტოში აღნიშნული დოკუმენტები ან ამ დოკუმენტებში ასახული ინფორმაცია ინახება ელექტრონული ან/და მატერიალური სახით.

6. უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტი სააგენტოში წარდგენილი უნდა იქნეს ქართულად ნათარგმნი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლების სახით.

7. პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა გაიცემა მხოლოდ სააგენტოში რეგისტრირებულ კონკრეტულ პნევმატურ იარაღზე.

8. დაუშვებელია ერთსა და იმავე პნევმატურ იარაღზე ერთდროულად სხვადასხვა პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა. პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა გაიცემა თითოეულ პნევმატურ იარაღზე ცალ-ცალკე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.

მუხლი 4

1. პნევმატური იარაღის რეგისტრაციისათვის ფიზიკურმა პირმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:
ა) განცხადება პნევმატური იარაღის რეგისტრაციის თაობაზე;

ბ) ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დოკუმენტი;

გ) პნევმატურ იარაღზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა);

დ) ჯანმრთელობის მდგომარეობის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ბალისტიკური შემოწმების აქტი (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა);

ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები.

2. რეგისტრაციის მიზნებისათვის პნევმატური იარაღი ითვლება იმ პირის საკუთრებად, რომელმაც განახორციელა მისი რეგისტრაციის მიზნით სააგენტოში წარდგენა, თუ აღნიშნული იარაღი არ არის რეგისტრირებული სხვა პირზე ან არ იძებნება - ლეგალიზაციის შემთხვევაში.

3. სააგენტო უფლებამოსილია, უფლებრივად შეუზღუდავი და აღურიცხავი პნევმატური იარაღის რეგისტრაცია განახორციელოს წარმდგენ ფიზიკურ პირზე (მფლობელი) საკუთრების უფლებით (ლეგალიზაცია). ლეგალიზაციისათვის პნევმატური იარაღის ან/და პნევმატური იარაღის მფლობელის მიერ სააგენტოში წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) განცხადება პნევმატური იარაღის ლეგალიზაციის თაობაზე;

ბ) ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დოკუმენტი;

გ) პნევმატური იარაღის ბალისტიკური შემოწმების აქტი;

დ) ჯანმრთელობის მდგომარეობის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები.

4. ნებართვის მფლობელმა პირმა, ფედერაციამ და სპორტულმა ორგანიზაციამ კუთვნილი პნევმატური იარაღის რეგისტრაციისათვის სააგენტოში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დოკუმენტი;

გ) პნევმატურ იარაღზე საკუთრების უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) (ამოღებულია - 07.10.2024, №75);

ე) ბალისტიკური შემოწმების აქტი (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა);

ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები.

5. სააგენტოს მიერ პნევმატური იარაღის რეგისტრაცია ხორციელდება ფიზიკური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის, აგრეთვე, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არარსებობის

დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის გარეშე, თუ მოთხოვნის მომენტისათვის:

ა) ფიზიკურ პირს საკუთრების ან სარგებლობის უფლებით რეგისტრირებული აქვს სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან გაზის (აირი) იარაღი;

ბ) ფიზიკურ პირს რეგისტრირებული აქვს სხვა პნევმატური იარაღი;

გ) ფიზიკურ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს სატრანსპორ-ტო საშუალების მართვის უფლება;

დ) ფიზიკური პირი ახორციელებს პნევმატური იარაღის ხელახალ რეგისტრაციას.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესი არ ვრცელდება:

ა) თუ ფიზიკური პირი უფლების რეალიზებას ახორციელებს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლების აღდგენის შემდეგ;

ა[1]) სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ფიზიკურ პირზე ვიზუალური დაკვირვების შედეგად გამოვლინდა ფიზიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მასზე პნევმატური იარაღის რეგისტრაციას;

ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის სახდელშეფარდებული პირების შემთხვევაში;

გ) თუ ელექტრონული ან მატერიალური დოკუმენტის სახით სააგენტოში არსებობს ინფორმაცია ფიზიკური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის პნევმატური იარაღის რეგისტრაციისათვის საქართ-ველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შეუსაბამობის თაობაზე;

დ) (ამოღებულია - 16.03.2022, №28).

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების მიუხედავად, სააგენტოს თანამშრომელს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე ფიზიკური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის პნევმატური იარაღის რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შეუსაბამობის თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის წარმოშობისას მოითხოვოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენა.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას სააგენტო (თანამშრომელი) არ არის ვალდებული, დაასაბუთოს ფიზიკური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პნევმატური იარაღის რეგისტრაციისათვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შეუსაბამობის თაობაზე ეჭვის წარმოშობის საფუძველი.

9. პნევმატური იარაღის გასხვისების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია მიმართოს სააგნეტოს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე, გასხვისებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

მუხლი 5

1. სააგენტოს მიერ პნევმატური იარაღის რეგისტრაცია არ განხორციელდება, თუ:
ა) ფიზიკური პირი დაავადებულია ფსიქიკურად;

ბ) ფიზიკური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუძლებელს ხდის მასზე პნევმატური იარაღის რეგისტრაციას;

გ) ფიზიკური პირი სისტემატურად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს;

დ) ფიზიკური პირი ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით ან ტოქსიკომანიით არის დაავადებული;

ე) ფიზიკური პირი ბრალდებულია (გარდა „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ[5]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) ან ფიზიკურ პირს ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული (გარდა „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ[5]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);

ვ) (ამოღებულია - 07.10.2024, №75);

ზ) ფიზიკურ პირს არ შესრულებია18 წელი;

თ) ფიზიკური პირის მიმართ გამოცემულია დამცავი, შემაკავებელი ან იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერი – ამ ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული ვადით;

თ[1]) ფიზიკურ პირს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციული სახდელის სახით იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა შეეფარდა და ამ სახდელის ვადა გასული არ არის;

ი) პნევმატური იარაღი მთლიანად ან ნაწილობრივ დამზადებულია კუსტარული წესით;

კ) ვერ დგინდება იარაღის სარეგისტრაციო მონაცემები, გარდა პნევმატური იარაღის ნომრისა;

კ[1]) გასროლილი ჭურვის საწყისი ენერგია შეადგენს:

კ[1].ა) 5 ჯოულზე ნაკლებს – პნევმატური იარაღის ფიზიკურ პირზე რეგისტრაციის შემთხვევაში;

კ[1].ბ) 3 ჯოულზე ნაკლებს – პნევმატური იარაღის ნებართვის მფლობელ პირზე რეგისტრაციის შემთხვევაში;

კ[2]) პნევმატური იარაღი არ არის დაშვებული სამოქალაქო ბრუნვაში;

ლ) ბალისტიკური შემოწმების შედეგად გამოვლინდა პნევმატური იარაღის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა ან კონსტრუქციული ნაკლი/დაზიანება, რის გამოც შეუძლებელია მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება ან ექსპლუატაცია;

მ) წარმოდგენილი დოკუმენტები ან/და პნევმატური იარაღი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ნ) არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ხელშემშლელი გარემოებები.

2. სააგენტოს მიერ პნევმატური იარაღის რეგისტრაცია უქმდება:

ა) თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გარემოებები გამოვლინდა/წარმოიშვა პნევმატური იარაღის რეგისტრაციის შემდეგ;

ა[1]) თუ ფიზიკური პირი ფსიქიკურად დაავადდა ან/და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუძლებელს ხდის მის მიერ პნევმატური იარაღით სარგებლობას და ამის შესახებ ცნობილი გახდა სააგენტოსათვის;

ა[2]) თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ ან „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების შესაძლო არსებობის თაობაზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაწყებული საქმისწარმოების ფარგლებში, ფიზიკური პირი არ უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ფსიქიკური მდგომარეობის

შესახებ ცნობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტის წარდგენას;

ბ) ფიზიკური პირის მიერ რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაში;

გ) პნევმატური იარაღის გასხვისების შემთხვევაში;

დ) უვარგისი პნევმატური იარაღის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებში დადგენილი წესით ჩაბარებისას;

ე) სააგენტოში პნევმატური იარაღის ჩამოწერისას;

ე[1]) ფიზიკური პირის მიერ იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევისას;

ვ) დახურული ან/და ნახევრად დახურული ტირის ან/და სასროლეთის გახსნის ნებართვის გაუქმებისას (ნებართვის მფლობელ პირზე რეგისტრირებული პნევმატური იარაღის შემთხვევაში);

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების წარმოშობიდან 14 დღის ვადაში პნევმატური იარაღის მესაკუთრე ვალდებულია მიმართოს სააგენტოს რეგისტრაციის გაუქმების მიზნით.

4. სააგენტოს მიერ პნევმატური იარაღის რეგისტრაციის თაობაზე ჩანაწერი უქმდება პნევმატური იარაღის მესაკუთრის განცხადების ან უფლებამოსილი ორგანოდან შესაბამისი ინფორმაციის მიღების საფუძველზე.

5. დაინტერესებული პირი რეგისტრაციით მინიჭებულ უფლებამოსილებას კარგავს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე გარემოების წარმოშობის დღიდან, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახდა აღნიშნული გარემოების შესახებ სააგენტოსათვის ცნობილი და როდის გააუქმა მან რეგისტრაცია.

6. გაუქმებული რეგისტრაციის აღდგენა შესაძლებელია შესაბამისი საფუძვლის არსებობისას ხელახალი რეგისტრაციის განხორციელების გზით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

მუხლი 6

1. პნევმატური იარაღის, ასევე, მისი ძირითადი ელემენტის რეგისტრაციის, ხელახალი რეგისტრაციის ან რეგისტრაციის გაუქმების შედეგად სარეგისტრაციო მონაცემებში აისახება შემდეგი სარეგისტრაციო მონაცემები/ინფორმაცია:

ა) დაინტერესებული პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები:

ა.ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილი;

ა.ბ) იურიდიული პირის/ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო ნომერი, სამართლებრივი ფორმა;

ბ) პნევმატური იარაღის: სახე, მარკა, მოდელი, ტიპი, კალიბრი (ყალიბი), საიდენტიფიკაციო ნომერი, ასევე, გამოშვების წელი (არასავალდებულო);

გ) დამატებითი ძირითადი ელემენტის სახე და საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) პნევმატური იარაღის (გარდა პისტოლეტისა და რევოლვერისა) საერთო სიგრძე;

ე) პნევმატური იარაღის (გარდა პისტოლეტისა და რევოლვერისა) საერთო სიგრძე მასზე დამატებითი

ძირითადი ელემენტის კონსტრუქციულად დამაგრებისას (გარდა იმ შემთხვევისა, თუ დამატებითი ძირითადი ელემენტის პნევმატურ იარაღზე კონსტრუქციულად დამაგრება არ იწვევს პნევმატური იარაღის საერთო სიგრძის ცვლილებას);

ვ) ინფორმაცია პნევმატური იარაღის ფიზიკურ პირზე რეგისტრაციისას ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ[1].ა“ ქვეპუნქტით, ხოლო პნევმატური იარაღის ნებართვის მფლობელ პირზე რეგისტრაციისას იმავე პუნქტის „კ[1].ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების არარსებობის თაობაზე, რაც დასტურდება პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემით;

ზ) პნევმატური იარაღის რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების/ძალადაკარგულად გამოცხადების (მათ შორის, ჩამოწერის) საფუძველი და თარიღი;

თ) პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი, კატეგორია, გაცემისა და გაუქმების თარიღი;

ი) პნევმატური იარაღის შენახვის ადგილი;

კ) პნევმატური იარაღის დადამღვის შემთხვევაში, ინფორმაცია დადამღვის თარიღისა და დადამღული საიდენტიფიკაციო ნომრის ან სააღრიცხვო ნომრის შესახებ;

ლ) პნევმატური იარაღის რეგისტრაციის, ხელახალი რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების მიზნებისათვის სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

2. პნევმატური იარაღის რეგისტრაციისა და ხელახალი რეგისტრაციის შედეგად სააგენტო გასცემს:

ა) E კატეგორიის პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობას (ფორმა №1) – ფიზიკურ პირზე პნევმატური იარაღის ან მისი ძირითადი ელემენტის რეგისტრაციისას ან ხელახალი რეგისტრაციისას, რის შედეგად პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობაში მიეთითება მხოლოდ ის სარეგისტრაციო მონაცემები, რომლებსაც ითვალისწინებს დამტკიცებული ფორმა და ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი მონაცემი. ამასთან, პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემისას გრაფაში – „ნებართვის სახე“ კეთდება ჩანაწერი „E“ (უფლება აქვს ატაროს პნევმატური იარაღი);

ბ) G/Pn კატეგორიის პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობას (ფორმა №2) – ნებართვის მფლობელი პირის კუთვნილი, ამ წესით გათვალისწინებული, სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების ან მათი ძირითადი ელემენტების რეგისტრაციისას ან ხელახალი რეგისტრაციისას;

გ) H/Pn კატეგორიის პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობას (ფორმა №2) – ფედერაციის ან სპორტული ორგანიზაციის კუთვნილი, სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების ან მათი ძირითადი ელემენტების რეგისტრაციისას ან ხელახალი რეგისტრაციისას.

3. (ამოღებულია - 07.10.2024, №75);

4. პნევმატური იარაღის შენახვის ადგილთან/შენახვის ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით გამოიყენება ცეცხლსასროლ იარაღთან მიმართებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, თუ ამ წესით სხვა რამ არ არის დადგენილი ან/და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

4[1]. დასაშვებია ფედერაციის ან სპორტული ორგანიზაციის მიერ მისი ან სპორტულ ღონისძიებაში მონაწილე პირის კუთვნილი სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სპორტული პნევმატური იარაღისა და საბრძოლო მასალის სპორტულ სროლაში საკვალიფიკაციო ნორმატივების შესრულების ან სპორტული შეჯიბრების ჩატარების ადგილზე დროებითი შენახვა, თუ უზრუნველყოფილი იქნება იარაღისა და საბრძოლო მასალის უსაფრთხო შენახვასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვა.

5. პნევმატური იარაღის რეგისტრაციაზე ვრცელდება იარაღის რეგისტრაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციები, თუ ამ წესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

6. პნევმატური იარაღის საერთო სიგრძე მიეთითება პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობაში, კერძოდ, გრაფაში „კალიბრი"/„იარაღის კალიბრი", მარჯვენა კიდესთან (ლათინური ასო „L" და სიგრძე გამოსახული სანტიმეტრებში), ხოლო პნევმატური იარაღის საერთო სიგრძე დამატებითი ძირითადი ელემენტის პნევმატურ იარაღზე კონსტრუქციულად დამაგრებისას აისახება გრაფაში „დამატებითი ძირითადი ელემენტები"/„იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტები", ყველა იმ დამატებითი ძირითადი ელემენტის გასწვრივ, რომელიც გავლენას ახდენს პნევმატური იარაღის საერთო სიგრძეზე (ლათინური ასო „L" და სიგრძე გამოსახული სანტიმეტრებში).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

მუხლი 7

1. დაინტერესებული პირი ვალდებულია შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან 10 სამუშაო დღის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სააგენტოს პნევმატური იარაღის ხელახალი რეგისტრაციის მიზნით.
2. პირს პნევმატური იარაღის ხელახალი რეგისტრაციის ვალდებულება წარმოეშობა ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეგისტრირებული მონაცემების შეცვლისას.

3. პნევმატური იარაღის ხელახალი რეგისტრაციისათვის სააგენტოში წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა;

დ) ხელახალი რეგისტრაციის საფუძვლის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ე) ბალისტიკური შემოწმების აქტი (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა);

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი.

4. პნევმატური იარაღის ხელახალი რეგისტრაციისას გაიცემა პნევმატური იარაღის ახალი სარეგისტრაციო მოწმობა, ხოლო ძველი ითვლება ძალადაკარგულად და უნდა ჩაბარდეს სააგენტოს.

5. პნევმატური იარაღის ხელახალი რეგისტრაციის განმახორციელებელი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად დამატებით მოითხოვოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად გაცემული ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

6. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციისათვის ან ხელახალი რეგისტრაციისათვის წარმოდგენილ პნევმატურ იარაღს არ გააჩნია ან დაზიანებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი, ნომრის მინიჭება ხორციელდება უფლებამოსილი პირის მიერ პნევმატური იარაღის დადამღვით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

მუხლი 8

1. რეგისტრაციისათვის (გარდა ჩამოწერისა) პნევმატური იარაღის ბალისტიკურ შემოწმებაზე სააგენტოში წარდგენის მიზნით, დაინტერესებული პირის სახელზე გაიცემა იარაღის დროებითი მოწმობა (ფორმა №5) (დანართი №4), რომელიც უფლებას აძლევს აღნიშნულ პირს მოწმობით განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს პნევმატური იარაღის გადატანა ბალისტიკური შემოწმების განმახორციელებელ ორგანოში, ხოლო შემოწმების შემდეგ პნევმატური იარაღი გადაიტანოს უკან, შენახვის ადგილზე. იარაღის დროებითი მოწმობის მქონე პირი ვალდებულია დაიცვას იარაღის გადატანა-გადაზიდვისათვის დადგენილი წესები.

2. იარაღის დროებითი მოწმობის (ფორმა №5) I ნაწილს ავსებს პნევმატური იარაღის რეგისტრაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელიც განსაზღვრავს პნევმატური იარაღის ბალისტიკური შემოწმების ჩატარების ადგილს, ხოლო გრაფით – „ძალაშია“ განისაზღვრება ვადა, რომლის განმავლობაშიც დაინტერესებულ პირს ეძლევა უფლება, გადაიტანოს პნევმატური იარაღი ბალისტიკური შემოწმების განსახორციელებლად.

3. იარაღის დროებითი მოწმობის (ფორმა №5) II ნაწილს ბალისტიკური შემოწმების განხორციელების შემდეგ ავსებს ბალისტიკური შემოწმების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული პირის მიერ ბალისტიკური შემოწმების ადგილიდან პნევმატური იარაღის შენახვის ადგილზე გადატანის უფლებას, ხოლო გრაფით – „ძალაშია“ განისაზღვრება გადატანის უფლების მოქმედების ვადა.

4. იარაღის დროებითი მოწმობა (ფორმა №5) მოქმედებს მხოლოდ გრაფით – „ძალაშია“ განსაზღვრული ვადით, მიუხედავად მოწმობის გაცემის თარიღისა.

5. იარაღის დროებითი მოწმობის (ფორმა №5) გრაფით – „ძალაშია“ განსაზღვრული პნევმატური იარაღის გადატანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული იარაღის გადატანის უფლების ვადის ათვლა შეიძლება დაიწყოს დაინტერესებული პირის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, მოწმობის ძალაში შესვლის ვადა მოწმობის გაცემის თარიღს არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეზე მეტი ვადით.

7. პირს ერთი იარაღის დროებითი მოწმობით ენიჭება მხოლოდ ერთი ერთეული პნევმატური იარაღის გადატანის უფლება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.

მუხლი 8[1]

1. ჩამოსაწერი პნევმატური იარაღის სააგენტოში ჩაბარების მიზნით დაინტერესებულ პირზე გაიცემა იარაღის დროებითი მოწმობა (დანართი №6), რომელიც უფლებას აძლევს აღნიშნულ პირს, მოწმობით განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს იარაღის შენახვის ადგილიდან ჩამოწერის განმახორციელებელ ორგანოში გადატანა. იარაღის დროებითი მოწმობის მქონე პირი ვალდებულია დაიცვას იარაღის გადატანა-გადაზიდვისათვის დადგენილი წესები.
2. იარაღის დროებით მოწმობას სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელიც განსაზღვრავს პნევმატური იარაღის ჩაბარების ადგილსა და გადატანის ვადას. პნევმატური იარაღის გადატანაზე მიცემული ვადა მიეთითება მოწმობის გრაფაში – „ძალაშია“ და იგი არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იარაღის გადატანის ვადის ათვლა შეიძლება დაიწყოს დაინტერესებული პირის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, მოწმობის ძალაში შესვლის ვადა მოწმობის გაცემის თარიღს არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეზე მეტი ვადით.

4. პირს ერთი იარაღის დროებითი მოწმობით ენიჭება მხოლოდ ერთი ერთეული პნევმატური იარაღის გადატანის უფლება.

5. იარაღის დროებითი მოწმობის საფუძველზე პნევმატური იარაღის გადატანისას დაცული უნდა იქნეს პნევმატური იარაღის გადატანა-გადაზიდვისათვის დადგენილი წესები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

მუხლი 8[2]

1. მესაკუთრე ფიზიკური პირის განცხადების საფუძველზე, პნევმატური იარაღის (გარდა ფიზიკურ პირზე რეგისტრირებული პნევმატური იარაღისა) შენახვის ადგილიდან დროებით სხვა ადგილზე გადატანისა და შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით გაიცემა იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №7 (დანართი №7).
2. იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №7 უფლებას აძლევს პირს მოწმობით განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს დაზიანებული პნევმატური იარაღის შენახვის ადგილიდან გადატანა იარაღის შეკეთების ლიცენზიის მქონე პირთან, ხოლო შეკეთების შემდეგ, ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესით განახორციელოს პნევმატური იარაღის გადატანა უკან შენახვის ადგილზე.

იარაღის დროებითი მოწმობის მქონე პირი ვალდებულია დაიცვას პნევმატური იარაღის გადატანა-გადაზიდვისათვის დადგენილი წესები.

3. იარაღის დროებითი მოწმობის – ფორმა №7-ის პირველ ნაწილს ავსებს სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელიც პნევმატური იარაღის შენახვის ადგილისა და იარაღის შეკეთების ლიცენზიის მქონე პირის მისამართის შესაბამისად მიუთითებს პნევმატური იარაღის შენახვისა და მიტანის ადგილს, ხოლო გრაფაში – „ძალაშია“ – განსაზღვრავს დროს (მაგრამ არაუმეტეს 12 სამუშაო საათისა), რომლის განმავლობაშიც პირს ეძლევა უფლება პნევმატური იარაღი გადაიტანოს იარაღის შეკეთების ლიცენზიის მქონე პირთან.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პნევმატური იარაღის გადატანის ვადის ათვლა შეიძლება დაიწყოს ფიზიკური პირის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, მოწმობის ძალაში შესვლის ვადა მოწმობის გაცემის თარიღს არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეზე მეტი ვადით.

5. იარაღის შეკეთების ლიცენზიის მქონე პირი ვალდებულია პნევმატური იარაღის მესაკუთრისათვის დაბრუნებისას იარაღის დროებითი მოწმობის – ფორმა №7-ის II ნაწილის შესაბამის გრაფაში მიუთითოს პნევმატური იარაღის გადაცემის წელი, თვე, რიცხვი, საათი და მოაწეროს ხელი. პნევმატური იარაღის მესაკუთრე ვალდებულია იარაღის შეკეთების ლიცენზიის მქონე პირის მიერ პნევმატური იარაღის დაბრუნებიდან არაუმეტეს 8 საათისა პნევმატური იარაღი გადაიტანოს უკან, შენახვის ადგილზე.

6. პირს ერთი იარაღის დროებითი მოწმობით ენიჭება მხოლოდ ერთი ერთეული პნევმატური იარაღის გადატანის უფლება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

მუხლი 8[3]

1. სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სპორტული მოკლე პნევმატური იარაღის მესაკუთრე ფიზიკური პირის მიერ სპორტულ სროლაში საკვალიფიკაციო ნორმატივების შესრულების ან/და სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მიზნით, აღნიშნული პნევმატური იარაღის მესაკუთრე ფიზიკურ პირზე გაიცემა იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №8 (დანართი №8).
2. იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №8-ის გასაცემად სააგენტოში წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სპორტული მოკლე პნევმატური იარაღის მესაკუთრე ფიზიკური პირის განცხადება;

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ფედერაციის/სპორტული ორგანიზაციის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც დგინდება სპორტულ სროლაში საკვალიფიკაციო ნორმატივების შესრულების/სპორტული შეჯიბრების გამართვის ადგილი, პერიოდი და მასში ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირის მონაწილეობა;

დ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები.

3. სააგენტო უფლებამოსილია ფედერაციას/სპორტულ ორგანიზაციას მოსთხოვოს იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №8-ის გასაცემად საჭირო დამატებითი ინფორმაციის, ხოლო სპორტული მოკლე პნევმატური იარაღის მესაკუთრე ფიზიკურ პირს – სპორტული მოკლე პნევმატური იარაღის ბალისტიკური შემოწმების აქტის წარდგენა. სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სპორტული მოკლე პნევმატური იარაღის ბალისტიკურ შემოწმებაზე წარსადგენად, პნევმატური იარაღის მესაკუთრე ფიზიკური პირის მოთხოვნის საფუძველზე გაიცემა იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №5 (დანართი №4).

4. იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №8 უფლებას აძლევს ფიზიკურ პირს დროებითი მოწმობით განსაზღვრულ ვადაში სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სპორტული მოკლე პნევმატური იარაღი

ან/და ამ გადასატანი იარაღისთვის განკუთვნილი ვაზნა (არაუმეტეს 300 ვაზნისა), შენახვის ადგილიდან დროებით გადაიტანოს ფედერაციის/სპორტული ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ დახურულ ან/და ნახევრად დახურულ ტირში ან/და სასროლეთში, ხოლო მისი დასრულების შემდეგ განახორციელოს სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სპორტული მოკლე პნევმატური იარაღისა და ამ დროებითი მოწმობით გადატანილი გამოუყენებელი ვაზნ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადატანა უკან, შენახვის ადგილზე.

5. იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №8 არ გაიცემა, თუ:

ა) არსებობს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ე“, „თ“, „ი“, „კ^2“ ან „ნ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოება;

ბ) სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სპორტული მოკლე პნევმატური იარაღის მესაკუთრეს შეჩერებული აქვს იარაღის ტარების უფლება;

გ) არ იქნა გადახდილი მომსახურების საფასური;

დ) არსებობს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი საფუძველი.

6. იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №8-ის გაცემაზე, შევსებაზე, მოქმედების ვადაზე და სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ინფორმაციის ასახვაზე ვრცელდება შენახვის უფლებით რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის ადგილიდან დახურულ ან/და ნახევრად დახურულ ტირში ან სასროლეთში გადატანაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, თუ ამ წესიდან ან/და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

7. სააგენტო უფლებამოსილია იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №8-ის გაცემისას, ფედერაციის/სპორტული ორგანიზაციის შუამდგომლობის საფუძველზე არ გაითვალისწინოს შენახვის უფლებით რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის ადგილიდან დახურულ ან/და ნახევრად დახურულ ტირში ან/და სასროლეთში გადატანისას ერთსა და იმავე იარაღის მესაკუთრეზე იარაღის დროებითი მოწმობის გაცემის შემდეგ, მოწმობის შემდგომი გაცემის დროის პერიოდთან და გადასატანი ვაზნების რაოდენობასთან დაკავშირებული შეზღუდვები.

8. იარაღის დროებითი მოწმობა – ფორმა №8 გაიცემა/ივსება ელექტრონული ან მატერიალური დოკუმენტის სახით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

მუხლი 9

1. პნევმატური იარაღის ჩამოწერისათვის მესაკუთრემ სააგენტოში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საკუთრებაში არსებული პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა;

დ) ჩამოსაწერი პნევმატური იარაღი;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

2. ჩამოსაწერი პნევმატური იარაღი ბარდება სააგენტოს, ხოლო პნევმატური იარაღის მესაკუთრეს გადაეცემა სათანადოდ დამოწმებული პნევმატური იარაღის სააღრიცხვო ბარათის ასლი შესაბამისი აღნიშვნით.

3. ჩამოსაწერი პნევმატური იარაღის სააგენტოში ჩაბარების მიზნით პნევმატური იარაღის მესაკუთრეზე გაიცემა პნევმატური იარაღის ჩასაბარებლად გადატანის დროებითი მოწმობა (დანართი N6), რომელიც უფლებას აძლევს აღნიშნულ პირს, მოწმობით განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს პნევმატური

იარაღის შენახვის ადგილიდან ჩამოწერის განმახორციელებელ ორგანოში გადატანა.

4. პნევმატური იარაღის ჩასაბარებლად გადატანის დროებით მოწმობას (დანართი N6) ავსებს სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელიც განსაზღვრავს პნევმატური იარაღის ჩაბარების ადგილსა და გადატანის ვადას. პნევმატური იარაღის გადატანისათვის მიცემული ვადა მიეთითება მოწმობის გრაფაში – ,,ძალაშია" და არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პნევმატური იარაღის გადატანის ვადის ათვლა შეიძლება დაიწყოს პირის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, მოწმობის ძალაში შესვლის ვადა მოწმობის გაცემის თარიღს არ უნდა აღემატებოდეს 10 სამუშაო დღეზე მეტი ვადით.

6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააგენტოს უფლება აქვს არ განახორციელოს დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებული დაურეგისტრირებელი პნევმატური იარაღის ჩამოწერა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

მუხლი 10

ნებართვის მფლობელი პირის, ფედერაციის ან სპორტული ორგანიზაციის მიერ ამ წესით გათვალისწინებული იარაღის დროებითი მოწმობის გაცემის მოთხოვნისას, იარაღის დროებითი მოწმობა გაიცემა შესაბამისი იურიდიული პირის/ინდივიდუალური მეწარმის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე ფიზიკური პირის სახელზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

დანართი №1[1]

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 18.02.2022 წ.

სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების შენახვის, ტარების, გადატანის, გადაზიდვის ან გადაგზავნის წესი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

მუხლი 1

1. პირი ვალდებულია, პნევმატური იარაღი და მისთვის განკუთვნილი ჭურვ(ებ)ი შეინახოს ისეთ მდგომარეობასა და პირობებში, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება მისი დაცვა და უსაფრთხოება, გამორიცხება გაუთვალისწინებელი (უნებლიე) გასროლისა და მათთან გარეშე პირთა დაშვების შესაძლებლობა. პნევმატური იარაღისა და მისთვის განკუთვნილი ჭურვ(ებ)ის შენახვა უნდა მოხდეს დაკეტილ სათავსოში ან/და აღნიშნულ იარაღს დამაგრებული უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების საკეტი იმგვარად, რომ გამორიცხული იყოს მისი მოხსნის გარეშე საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა.

2. დახურული ან/და ნახევრად დახურული ტირის ან/და სასროლეთის გახსნის ნებართვის მფლობელი იურიდიული პირი/ინდივიდუალური მეწარმე, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა, ვალდებულია დაიცვას საქართველოს მთავრობის მიერ დახურული ან/და ნახევრად ტირის ან/და სასროლეთის ტერიტორიაზე იარაღისა და ჭურვ(ებ)ის შენახვისთვის დადგენილი უსაფრთხოების დამატებითი წესები.

3. „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირის/ინდივიდუალური მეწარმის მიერ იარაღის შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და უსაფრთხოების წესებს ადგენს აღნიშნული იურიდიული პირის/ინდივიდუალური მეწარმის ხელმძღვანელი. ამ წესების დაუდგენლობა ან დადგენილი წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა (შეუსრულებლობა) იწვევს იმავე ქვეპუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირისთვის/ინდივიდუალური მეწარმისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

4. ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

მუხლი 2

1. ფიზიკური პირის მიერ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ტექნიკური

მახასიათებლების მქონე პნევმატური იარაღის ტარება დასაშვებია მხოლოდ სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ.

2. პნევმატური იარაღის ტარება დასაშვებია მხოლოდ სპეციალური შალითით, განმუხტულ, ჭურვ(ებ)ისგან განცალკევებულ მდგომარეობაში.

3. რეგისტრირებული პნევმატური იარაღის ტარების უფლების მქონე პირი ვალდებულია იარაღის ტარებისას პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად თან იქონიოს პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესი არ ვრცელდება სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებზე (დახურული ან/და ნახევრად დახურული ტირი ან/და სასროლეთი, ნადირობისათვის დაშვებული ადგილები, დასახლებული პუნქტიდან 500 მეტრის რადიუსის მიღმა არსებული ტერიტორია).

5. დასაშვებია პნევმატური იარაღის შეძენის ადგილიდან შენახვის ადგილამდე რეგისტრაციის გარეშე გადატანა ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების დაცვით.

6. ამ მუხლით დადგენილი ტარების წესის დარღვევა გამოიწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

მუხლი 3

1. სპორტული მოკლე პნევმატური იარაღის მესაკუთრე ფიზიკური პირის მიერ აღნიშნული იარაღის ან/და შესაბამისი საბრძოლო მასალის შენახვის ადგილიდან დროებით გადატანა სპორტულ სროლაში საკვალიფიკაციო ნორმატივების შესრულების ან/და შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების ან/და იარაღის შეკეთების მიზნით და შენახვის ადგილზე დაბრუნება დასაშვებია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული იარაღის დროებითი მოწმობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პნევმატური იარაღის გადატანის წესის დაცვით.

2. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირის/ინდივიდუალური მეწარმის კუთვნილი სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების ან/და შესაბამისი საბრძოლო მასალის შენახვის ადგილიდან სპორტულ სროლაში საკვალიფიკაციო ნორმატივების შესრულების, შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების ან/და იარაღის შეკეთების მიზნით დროებით გადატანისა და შენახვის ადგილზე დაბრუნების უფლება აქვს შესაბამის მინდობილ პირს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული იარაღის გადატანა-გადაზიდვის ნებართვის საფუძველზე. აღნიშნული მინდობილი პირი ვალდებულია თან იქონიოს თითოეული გადასატანი პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა.

3. პნევმატური იარაღის გადატანის, გადაზიდვისა და გადაგზავნისას გამოიყენება ცეცხლსასროლი იარაღის გადატანასთან, გადაზიდვასთან და გადაგზავნასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, თუ ამ წესით სხვა რამ არ არის დადგენილი ან/და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 08.10.2024 წ.

დანართი №2 (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.

დანართი №3 (ამოღებულია)

დანართი №5 (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 17.03.2022 წ.